

186
1970

საქართველოს
ბიბლიოთეკა



186

საქართველოს სსრ მთავრობის
დარგენილებათა კრებული

№ 4

62

თბილისი—აგვისტო

1970 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი-აგვისტო

1970 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაზგური ხელოვნების სპეციალობის სპეციალისტთა მომზადების განახლების შესახებ
73. ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ
74. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის № 424 დადგენილების მე-5 და 6 პუნქტების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის იმ წესებში დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილებით.
76. საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ფასებისა და ტარიფების დადგენისა და გამოყენების წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ.
77. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის საკითხები.
78. ობელისკების აგების შესახებ

სსრ მინისტრთა
საბჭოს
დადგენილება

79. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
80. საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ
81. შთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ
82. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
83. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ
84. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 492 დადგენილების გაუქმების შესახებ
85. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის სოფლის ჩვეულებრივ წყალსადენების გადაცემისა და ამ წყალსადენების ექსპლუატაციის სამსახურის მოწყობის შესახებ
86. კარტოფილის საცალო ფასების შესახებ
87. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1970 წლის 22 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს კვლევითი კომისიის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაზღუდრი ხე-ლოცვის სპეციალისტთა სპეციალისტთა მომზადების განახლების შესახებ

საქართველოს კვლევითი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის № 441 დადგენილების მე-6 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კვლევითი კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ 1970/71 სასწავლო წლიდან განახლოს თბილისის სამხატვრო სახელმწიფო აკადემიაში დაზღუდრი ხელოვნების სპეციალისტების სპეციალისტთა მომზადება.

2. განხორციელდეს 1970 წელს მიღება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დღის განყოფილებაზე შემდეგ სპეციალობებზე: „ფერწერა“ — 5 კაცი, „გრაფიკა“ — 5 კაცი და „ქანდაკება“ — 5 კაცი იმ მისაღები კონტინგენტის ხარჯზე, რაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაუმტკიცდა „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების“ სპეციალობაში.

საქართველოს კვლევითი კომიტეტის მდივანი
ბ. მუხამანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წლის 28 ივლისი, № 430.

73 ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ

საქართველოს კვლევითი კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანი საფინანსო დოტაციის მიუხედავად, რესპუბლიკის ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო დრამატული თეატრების დიდი უმეტესობა წლითიწლობით ვერ ასრულებს საფინანსო გეგმებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საკმაო რაოდენობის მაყურებელი არ მოიპოვება იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ეს თეატრები მოქმედებენ.

ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების საფინანსო-სამეურნეო და შემოქმედებითი საქმიანობის გაჯანსაღების, მაყურებელთა დასწრების გადიდების, აგრეთვე რესპუბლიკის რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსა-



ზურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ს:

1. გაფართოვდეს ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების საქმიანობის სფერო და დაევალოთ მათ სისტემატური მომსახურება გაუწიონ მეზობელი რაიონების მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით, არსებულ თეატრებს ამიერიდან ეწოდოთ:

— გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — გორის გ. ერისთავის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: ქ. გორი, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონები;

— ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზობისა და გეგეჭკორის რაიონები;

— მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები;

— თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები;

— ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — ფოთის ვ. გუნიას სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: ქ. ფოთი, სამტრედიის, აბაშისა და ცხაკაიას რაიონები;

— ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს — ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, მომსახურების ზონით: ქ. ჭიათურა, ზესტაფონის, საჩხერის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონები.

2. ქუთაისის ვ. ალექსი-მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, ქ. ქუთაისის ვარდა, მომსახურება გაუწიოს ქ. ტყიბულს, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, წულუკიძის და ვანის რაიონებს, ხოლო მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ადიგენისა და ბოგდანოვკის რაიონების ვარდა — ბორჯომის რაიონსაც.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს დებულება რესპუბლიკის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ.

4. პარტიის საქალაქო კომიტეტებმა, რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების და რაიონული საბჭოების აღმას-

კომებმა, რომლებიც სარაიონთაშორისო თეატრების, ქუთაისის და მესხეთის (ახალციხის) თეატრების მომსახურების ზონაში შედიან, სისტემატური დახმარება გაუწიონ შესაბამის სახელმწიფო დრამატულ თეატრებს მათი შემოქმედებითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

5. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა შეიმუშაონ და განახორციელონ ახალი (1970-1971 წლების) თეატრალური სეზონის დაწყებამდე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრების შემოქმედებითი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შეისწავლოს რესპუბლიკის სახალხო თეატრების მუშაობის საკითხი და მიიღოს ზომები მათს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
 ვ. შაჰვანაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
 ვ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წლის 28 ივლისი, № 432.

74 „საპარტიველოს სსრ კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საპარტიველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის № 424 დადგენილების მე-5 და 6 პუნქტების ნაწილობრივ შესწავლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, იმის შესახებ, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს პუნქტები 5 და 6 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ჩამოყალიბდეს ეს პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„5. მიღებულ იქნეს საქართველოს კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მიეცეთ



დოტაცია, როგორც დროებითი ღონისძიება, შიიანი ზონის და სხვა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც იმყოფებიან არ ახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვისაგან მიღებული შემოსავლის შესაბამისად, რესპუბლიკის ეკონომიურად უფრო ძლიერი რაიონების მეურნეობებში რენტაბელური კულტურების შესასყიდი ფასების ფასდაკლების ხარჯზე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს სოფლის-მეურნეობის ცალკეული პროდუქტების შესასყიდი ფასების ფასდაკლების, აგრეთვე დოტაციის ოდენობა რაიონების და ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალობაზე მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ეს ღონისძიებანი 1970 წლის 1 აგვისტოდან“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. რედიონოვი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წლის 25 აგვისტო, № 469

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაები

75 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის იმ წესებში დამატებითა შეთანხმების უზრუნველყოფის, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის იმ წესების მე-2 პუნქტს, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილებით, შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი „ზ“:

„ზ) „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სამრეწველო საქონელი შეიძლება გამოიცვალოს საქონლის გამოსაცვლელად გამოყოფილ ყოველ მაღაზიაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად არის ნაყიდი ეს საქონელი — რესპუბლიკაში თუ მის ფარგლებს გარეთ, ისე, რომ დაცულ იქნეს აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

თუ მყიდველის საცხოვრებელ ადგილზე არ არის საგარანტიო რემონტის შესაბამისი სახელოსნო, მაშინ დასკვნას მყიდველის მიერ მაღაზიაში ჩაბარე-

ბული ნაკეთობის (მსუბუქი ავტომობილის გარდა) ხარისხის და ამ ნაწარმის უწყესიერობისა და დეფექტების მიზეზების შესახებ მალაზიის მოთხოვნით იძლევა საქონლის ექსპერტიზების ბიურო.

სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიებში ნაყიდი საქონელი გამოეცვლებათ ძვირელებს სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიებში, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის მალაზიებში ნაყიდი საქონელი — ამ სისტემის მალაზიებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წლის 6 ივლისი, № 385

76 საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ფასებისა და ბარიზაჟის დადგენისა და გამოყენების წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა გასწიეს საპრეისკურანტო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, გააძლიერეს ბრძოლა ფასების დამახინჯებისა და მომხმარებელთა მოტყუების ფაქტების წინააღმდეგ.

ამასთანავე, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, პროკურატურის, ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფსაბჭოს შემოწმებით დადგინდა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში ჯერ კიდევ არის საპრეისკურანტო (სატარიფო) მეურნეობის წარმოების მოუწესრიგებლობის, მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაწესება-გამოყენების წესების უხეშად დარღვევის, მომხმარებელთა მოტყუების, გაუფორმებელი შეკვეთებით სამუშაოების შესრულების ფაქტები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროების 3464 საწარმოში შემოწმებით გამოირკვა, რომ პრეისკურანტები და ტარიფები არ ჰქონდათ 531 ობიექტში, მათ შორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 3243 ობიექტიდან 488 ობიექტში და კომუნალური მეურნეობის 221 ობიექტიდან 43 ობიექტში დარღვეული იყო საპრეისკურანტო მეურნეობის წარმოების წესები.

ზოგიერთი სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ჯერ კიდევ არ აქვთ პრეისკურანტები და ტარიფები, რის გამო ასეთ სახეობათა სამუშაოებს ასრულებენ ადგილებზე შედგენილი გადიდებული ფასებით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი სამმართველო კი ასეთივე წესით



გადიდებულ ფასებს ამტკიცებს და იყენებს მაშინაც კი, როცა არის საპრეისკურანტო ფასები.

იმის შედეგად, რომ მოუწესრიგებელია საპრეისკურანტო მეურნეობა და შესუსტებულია კონტროლი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ზოგიერთ საწარმოში შექმნილია ფასების დამახინჯებისა და მომხმარებელთა მოტყუების ხელსაყრელი პირობები.

ასეთი დარღვევები გამოვლინდა შემოწმებული ობიექტების 22,8 პროცენტში, მათ შორის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების 23,2 პროცენტში და კომუნალური მეურნეობის ობიექტების 16,7 პროცენტში.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის ქიმწმენდის ფაბრიკაში შეკვეთებს აფორმებენ სასწრაფო შესრულებით, რისთვისაც მოსახლეობას დამატებით საფასურს ახდევინებენ, ასრულებენ კი ჩვეულებრივ ვადებში, რის გამოც მარტო 1970 წლის იანვარ-მაისში მოსახლეობას ზედმეტად გადაახდევინეს 4,1 ათას მანეთზე მეტი.

ქ. ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სასაფლაო მეურნეობაში ხის ნაწარმის დასამზადებლად სამუშაოების შესრულებისათვის პრეისკურანტით გათვალისწინებული ფასების ნაცვლად იყენებენ ადგილზე კალკულაციებით დამტკიცებულ ხელოვნურად გადიდებულ ფასებს, რის გამოც 1969 წელს და 1970 წლის პირველ კვარტალში მოსახლეობას ზედმეტად გადაახდევინეს 3,4 ათასი მანეთი.

გურჯაანის სასტუმრო „გურჯაანში“ სასტუმროს ნომრების კატეგორიების არასწორად განსაზღვრისა და ავტომანქანების დასაყენებელი ადგილების ქირის ტარიფების თვითნებურად გადიდების გზით ზედმეტად გადახდევინებულია 2,9 ათას მანეთზე მეტი.

გამოვლინებულია აგრეთვე გაუფორმებელი შეკვეთების, უფაქტურო მასალების გამოყენების, შეკვეთების დროულად შეუსრულებლობის, ნავაჭრი თანხების სალაროში დიდი დაგვიანებით შეტანის შემთხვევები და სხვა დარღვევები.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, მათი სამმართველოები და განყოფილებები საკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ უწყევენ საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებს. ამ საწარმოების შემოწმებებისა და რევიზიების დროს არ ავლენენ დარღვევის ფაქტებს და არ იღებენ ზომებს დამნაშავე პირების მიმართ.

საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, მისი საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი კომიტეტები თვალყურს არ ადევნებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში ფასები-

სა და ტარიფების დადგენისა და სწორად გამოყენების საკითხებს, არ იბრძვიან მომსახურების სახელმწიფო ფასებისა და ტარიფების დარღვევის წინააღმდეგ. არ ქმნიან საწარმოთა კოლექტივებში ფასების დამახინჯებათა ფაქტებისადმი შეურიგებლობის მდგომარეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს:

— 1970 წლის ბოლომდე შეიმუშაონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ფასების სახელმწიფო კომიტეტს ყველა იმ სახეობის მომსახურების ფასები და ტარიფები, რომლებზედაც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი სახელმწიფო ფასები და ტარიფები, და აღარ დაუშვან ადგილებზე შედგენილი კალკულაციებით ფასების დადგენა მომსახურების იმ სამუშაოებზე, რომლებზედაც არსებობს პრეისკურანტები და ტარიფები;

— უზრუნველყონ ყველა საწარმო სათანადო პრეისკურანტებითა და ტარიფებით;

— აუკრძალონ სისტემის საწარმოებს მიჰყიდონ მოსახლეობას ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსამკაული, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ავეჯი და სხვა ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია მასობრივი წარმოების წესით (მოსახლეობის წინასწარი შეკვეთების მიუღებლად) იმ ფასად, რაც დაწესებულია ამ ნაკეთობათა დასამზადებლად ინდივიდუალური შეკვეთებით.

2. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში გადასინჯოს რესპუბლიკის სასტუმროებში ნომრებისათვის თანრიგებისა და კატეგორიების მიკუთვნების სისწორე და მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს ფასებისა და ტარიფების დამტკიცების საქმეში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მომსახურების ინდივიდუალური დაკვეთების ფასებისა და ტარიფების დადგენისას იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მეთოდური მითითებებით.

ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს და საწარმოებს დაადგინონ არსებული წესების დაცვით, დამკვეთთან შეთანხმებული კალკულაციის მიხედვით, ფასებზე ერთჯერადი ინდივიდუალური დაკვეთით დამზადებულ იმ ნაკეთობებზე (პროდუქციაზე), რომლებზედაც არ არსებობს დამტკიცებული პრეისკურანტები.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო საჭირო ზომები ფასების და ტარიფ-

ბის დარღვევის შედეგად მოსახლეობისათვის ზედმეტად გადახდევინებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებგალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წლის 9 ივლისი, № 389

77 საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შტატი 37 ერთეულის რაოდენობით, ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების კვალობაზე — 5515 მანეთი და მისი შენახვის ხარჯები — 78,3 ათასი მანეთი.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაამტკიცოს — კომიტეტის ცენტრალური აპარატის სამუშაო განრიგი და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით აღმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და კომიტეტის ოთხი წევრი კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. დაუწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ხელფასი თვეში 430 მანეთი და თავმჯდომარის პირველ მოადგილეს — 310 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის დანარჩენ მუშაკებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურების პირობები, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტში მოქმედებდა. დარჩეს ფასების სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდი 190 მანეთის ოდენობით.



4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გარდაქმნან ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების და აღმასკომების საგეგმო კომისიების ფასების ქვეგანაყოფები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებებად, ხოლო იქ, სადაც საგეგმო კომისიებთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ფასების ქვეგანაყოფები, შექმნან ფასების დამოუკიდებელი განყოფილებები შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის დებულების პროექტი.

6. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დამატებით მიუჩინოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს ერთცვლად მომუშავე მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც მომსახურებას გაუწევს კომიტეტის თავმჯდომარის ერთ მოადგილეს, ამ კომიტეტის ხარჯების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 9 ივლისი, № 390.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1970 წლის 9 ივლისის № 390
 დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის
 ცენტრალური აპარატისა

ზოგად-ეკონომიური განყოფილება

სახელმწიფო ინსპექცია (დამოუკიდებელი განყოფილების უფლებით)

მძიმე მრეწველობის პროდუქციის ფასების განყოფილება

სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის ფასების განყოფილება

სასურსათო საქონლის ფასების განყოფილება

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების განყოფილება

მომსახურების ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების განყოფილება

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტ-
 თან არსებობს პრეისკურანტების, ფასწარმოქმნის მეთოდური და საინსტრუქ-
 ციო მასალების გამომცემლობა საგადაამღებო-სამარავლებელი საბუღალთო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიაშვილი**.

78 ობელისკების აგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაქადაგებულ საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ აიგოს ქ. ქუთაისში ძველი რევოლუციონერ-ბოლშევიკების ობელისკი და ქ. ფოთში — ობელისკი დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოზე.

2. აღნიშნული ობელისკების აგების დაფინანსება მოხდეს ქუთაისის და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების ბიუჯეტების გასავალზე შემოსავლის გადამეტების ანგარიშში.

3. კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს ობელისკების მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 8 ივლისი, № 393.

79 საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშებისა და მოსამსახურეებისა, ვინც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემართოს შემდეგი პუნქტი:

„118. ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა № 2.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 20 ივლისი, № 402.



80 საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მარცვლადი კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის დაბუღების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მარცვლადი კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის შესახებ.

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაუგზავნოს აღნიშნული დებულება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს იმ ანგარიშით, რომ მათ თავიანთი მხრივ დაუგზავნონ იგი თითოეულ მეურნეობას გასაცნობად და სახელმძღვანელოდ.

3. დამზადების სამინისტრომ უზრუნველყოს სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის თესლის მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაზიდვა და გაცემა, აგრეთვე ამ ოპერაციების მიხედვით აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯანაშია**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალი**.

ქ. თბილისი, 1970 წლის 29 ივლისი, № 423



და მტკინი მუღლი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
1970 წლის 29 ივლისის № 423
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების საკოლმეურნეობათაშორისო სადაზღვევო საოცსლე ფონდის შესახებ

1. მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო და საბჭოთა მეურნეობათაშორისო) სადაზღვევო სათესლე ფონდები შეიქმნება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს პურის მიმღებ საწარმოებში იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს სტიქიური უბედურების შემთხვევაში და „მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 201 დადგენილების შესაბამისად.

2. მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდები დაწესებულ ოდენობას მიაღწევენ ხუთი წლის განმავლობაში, 1970 წლის მოსავლიდან დაწყებული, იმ სათესლე მარცვლის მიზნობრივი შენატანების ხარჯზე (ხოლო თუ სათესლე მარცვალი არ არის — სხვა მალახარისხოვანი მარცვლის ხარჯზე), რომელიც თითოეული მეურნეობისაგან შემოდის (აუნაზღაურებლად) პურის მიმღებ საწარმოებში შესაბამისი საბუთების თანხლებით. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სათესლე მეურნეობებს თავიანთი შეხედულებით შეუძლიათ შეიტანონ სათესლე მარცვალი სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში უფრო მოკლე ვადებშიც.

3. სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდებისათვის გამოსაყოფი თესლის ან მარცვლის რაოდენობა განსაზღვრულია წლების მიხედვით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების გათვალისწინებით.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები თავიანთი გადაწყვეტილებებით აცნობებენ რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში თითოეული კულტურის თესლისა და მარცვლის ჩაბარების დავალებებს.

სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილება
1970 წლის 29 ივლისის № 423



5. იმ თესლისა და მარცვლის ხარისხი, რომლებსაც კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები აბარებენ სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში, არ უნდა იყოს იმ კონდიციებზე ნაკლები, რომლებიც შემზღვევლებია დამზადების დროს, ხოლო თესლისა და მარცვლის ხარისხისა და ჩათვლითი წონის გამორკვევა უნდა წარმოებდეს ისეთივე წესით, როგორც ეს ხდება სახელმწიფო რესურსებისათვის თესლისა და მარცვლის შესყიდვის დროს.

იმ მოთხოვნებს, რასაც სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში ჩასაბარებელი თესლის ჯიშობრივ და სათესლე ხარისხს უყენებენ, განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში სათესლე და სხვა მარცვლის ჩაბარების და ამ ფონდიდან გაცემული სათესლე სესხის დაფარვის მოწყობა ეკისრებათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

7. სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის თესლის მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაზიდვა და გაცემა, აგრეთვე ამ ოპერაციების შესახებ აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება ეკისრება დამზადების სამინისტროს. ამ ფონდის თესლისა და მარცვლის შენახვა წარმოებს სახელმწიფო რესურსების თესლთან და მარცვალთან ერთად. ამ ფონდში გამოყოფილი თესლი და მარცვალი აღრიცხება ცალკე პურის საერთო-სახელმწიფო რესურსებისაგან.

8. სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდში თესლისა და მარცვლის მიწოდებრივი შეტანა წარმოებს მას შემდეგ, რაც მეურნეობები შექმნიან საკუთარ სათესლე ფონდებს, შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმას, დაფარავენ სახელმწიფოსადმი დავალიანებას ნატურალურ სესხთა გამო და შექმნიან თესლის საკუთარ სადაზღვევო ფონდებს.

თესლისა და მარცვლის მიტანა პურის მიმღებ საწარმოებში სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდის შესაქმნელად წარმოებს მეურნეობათა ძალებითა და საშუალებებით და მათ ხარჯზე. თესლსა და მარცვალს, რაც სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდს ბარდება, თან უნდა ახლდეს მეურნეობათა ზედნადებები, აგრეთვე საჯიშე ლოკუმენტები.

9. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობებისათვის სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდიდან სესხის მიცემის საჭიროებას განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები, შესაბამის მეურნეობათა განაცხადების თანახმად.

სოფლის მეურნეობის სამმართველოები თავის წინადადებებს განსახილველად წარუდგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგენს პროექტს გან-

კარგულებისა სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდიდან თესლის გაცემის შესახებ.

10. თესლის მიცემა სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდიდან კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის წარმოებს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სესხის წესით, რასაც დაერიცხება 10 ცენტნერი სესხად გაცემულ ყოველ 100 ცენტნერ თესლზე.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები, რომლებმაც სესხად მიიღეს თესლი სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდებიდან, მოვალენი არიან გამოიყენონ იგი მხოლოდ სათესი მიზნებისათვის.

აღნიშნული ნატურალური დანარიცხები მათი შემოსავლის კვალობაზე ჩაირიცხება პურის საერთო-სახელმწიფო რესურსებში, რათა დამზადების სამინისტროს პურის მიმღებ საწარმოებს აღნაზღაურდეთ თესლის მიღების, დამუშავების, შენახვის, გადაზიდვისა და გაცემის ხარჯები.

11. სესხის გაცემისას პურის მიმღები საწარმოები შესაბამისი მეურნეობებისაგან მიიღებენ დაწესებული ფორმის მიხედვით შედგენილ ვალდებულებათა დოკუმენტს, რომელიც ინახება პურის მიმღები პუნქტების საქმეებში, როგორც მტკიცე აღრიცხვის დოკუმენტი.

12. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ სათესლე სესხის დაბრუნება ხდება, როგორც წესი, იმავსახელობის კულტურების სათესლე ან სხვა მარცვლის სახით, მაგრამ როგორც გამოხაკლისი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებით დაიშვება სხვა კულტურის მარცვლით შეცვლა ისე, რომ შესაბამისად მოხდეს იმ განსხვავების ფულადი გადაანგარიშება, რაც არსებობს სესხად გაცემული მარცვლისა და დაბრუნებული კულტურის მარცვლის ღირებულებას შორის, რომელიც ჩათვლითი წონით გამოირკვევა.

13. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდიდან მიღებულ სათესლე სესხს დაფარავენ მას შემდეგ, რაც ისინი შექმნიან საკუთარ სათესლე ფონდებს, შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმას, დააბრუნებენ სახელმწიფო რესურსებიდან მიღებულ ნატურალურ სესხს, შექმნიან მეურნეობებში თესლის საკუთარ სადაზღვევო ფონდებს, მაგრამ არა უგვიანეს იმ წლის 1 დეკემბრისა, რომლის მოსავლისათვისაც გაცემული იყო სესხი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია ერთი წლის ვადით გადაუადოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს, რომლებიც სტიქიური უბედურებით დაზარალდნენ და დროზე ვერ დაფარეს სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდიდან მიღებული ნატურალურ სესხთა დავალიანება.



81 მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით მატერიალური დანტერესების, მათი სამეურნეო-ეკონომიური განმტკიცების მიზნით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის № 424 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობების რესპუბლიკური საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, ფინანსთა სამინისტროსთან და სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, და შემოღებულ იქნეს დროებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მოსახლეობაში რენტაბელური პროდუქტების — ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის, ხილისა და დაფნის სახელმწიფო შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება და ამ სახსრების ხარჯზე მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დოტაციის მიცემა იმ პროდუქციის ამონაგების შესაბამისად, რომელიც სახელმწიფოს მიეყიდება.

2. დაწესდეს 1970 წლის 1 აგვისტოდან:

ა) ფასდაკლება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ყოველი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის სახელმწიფო შესასყიდი ფასიდან — 20 მანეთი, ყურძნისა — 20 მანეთი, თესლოვანი და კურკოვანი ხილისა — 20 მანეთი, დაფნის ფოთლისა — 500 მანეთი რაიონებისა და მეურნეობების მიხედვით №№ 1, 2, 3, 4 დანართების თანახმად.

ფასდაკლება გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროდუქტებზე განურჩევლად ჯიშისა და ხარისხისა (გარდა არასტანდარტულისა).

ბ) დოტაციის მიცემა მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მათ მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგან მიღებული შემოსავლის შესაბამისად პროცენტობით №№ 5 და 6 დანართების თანახმად.

საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასდაკლების შედეგად მიღებული სახსრები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ № 6 დანართში გათვალისწინებული არარენტაბელური საბჭოთა მეურნეობების დოტაციისათვის.

დაპტიცდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დოტაციის მიცემის წესი, № 7 დანართის თანახმად.

3. ამ დადგენილების მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფასდაკლებას აწარმოებენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების, „საქკონსერვ-ხილბოსტანის“ და ცეკავშირის დამამზადებელი კანტორები და საწარმოები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდულ (ჩაბარებულ) პროდუქტებზე ანგარიშსწორების დროს და ფასდაკლებით მიღებულ სახსრებს ჩარიცხავენ სახელმწიფო ბანკში სპეციალურ ანგარიშზე.

დამამზადებელი ორგანიზაციები შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლების შედეგად მიღებულ სახსრებს გაატარებენ ცალკე საბალანსო ანგარიშზე საბჭოთა მეურნეობების გამოყოფით და პასუხისმგებელი არიან ამ სახსრების აღრიცხვის სისწორისათვის.

4. სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გაუხსნას განსაკუთრებული ანგარიშები სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ფასდაკლებისა და დოტაციის ცალკე ანგარიშსწორებისათვის.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროებს, ფასების სახელმწიფო კომიტეტს და სახალხო კონტროლის კომიტეტს სისტემატური კონტროლი გაუწიონ დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლების აღრიცხვისა და დოტაციის გაცემის სწორად წარმოებას.

6. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1970 სამეურნეო წლის და შემდგომი წლების შედეგების მიხედვით შეაჯამოს მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტიანობა და თავისი წინადადებები წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს.

7. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის სამმართველოებს აცნობონ თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას და განუმარტონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სხვებს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, მათი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, რომ დოტაციის დაწესებით იქმნება დიდი სტიმული მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მათი შემდგომი სამეურნეო-ეკონომიური განმტკიცებისათვის და რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღო-



ნრსიებებს აქვს დროებითი ხასიათი და მეურნეობებმა მთელი ორგანიზაციულ-საქეურნეო საქმიანობა უნდა წარმართონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრეილიუვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 29 ივლისი, № 425



ს ი ა

იმ რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისა რომლებზედაც 1970 წლის პირველი აგვისტოდან ვრცელდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით:

მახარაძის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ნატანებისა და ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებისა, აგრეთვე ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა;

ქობულეთის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები; გარდა ალამბრის მეციტრუსეობის და ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

გეგეჭკორის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ვედიოკარის ჩაის და ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

წყალტუბოს რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფარცხანაყანევის კალინინის, ფარცხანაყანევის ქდანოვის, საყულიას „კომუნარის“, პატრიკეთის ლენინის, მუხიანის ლენინის, ქვედა მესხეთის ენგელსის სახელობის და დერჩის კოლმეურნეობებისა და ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალისა;

წულუკიძის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ძეძილეთის ორჯონიკიძის, კინჩხის ლენინის, კონტუხათის ცხაკაიას, გორდის გეგეჭკორის, პატარა ჭიხაიშის კოლმეურნეობებისა და წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა;

ცხაკაიას რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები გარდა თეკლათის კალინინის, თეკლათის ჭავჭავაძის, ნაქალაქევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების, აგრეთვე კოტიანეთის მევენახეობის, ახალენაკის დაფნის, შხეფის მეციტრუსეობის და ძველისენაკის სანაშენო მელორეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ზუგდიდის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დიდინძის კოლმეურნეობისა „კომუნის“ განმუხურის წერეთლის სახელობის და ორულუს კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობისა და ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალისა;

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების ყველა კატეგორიის მეურნეობები;

ლანჩხუთის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ქვიანის, ქყონავორას და ჩოლობარგის კოლმეურნეობებისა და რაიონში არსებული საბჭოთა მეურნეობებისა;

ჩოხატაურის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჩხაკოურას, ზოტის, დიდივანის, ზემოხეთის, ბურნათის ძნელაძის, ზემო სურების

XIX ყრილობის და შუა სურების ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ჩოხატაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა;

ბათუმის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზედა ჩხუტუნეთის რუსთაველის, ქვედა ჩხუტუნეთის დიმიტროვის და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე გონიოს, მახვილაურის მეციტრუსეობის და ბათუმის მერქვეეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

გალის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ოტობაიას კოლმეურნეობისა „მშრომელი გლეხი“ და ფიჩორას კოლმეურნეობისა „წინსვლა“, აგრეთვე სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა;

ოჩამჩირის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მერკულისა და ბარათაშვილის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ავუბედის ტუნგოს, ჯალის მეციტრუსეობის, ოჩამჩირის მერქვეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა და ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანა — საბჭოთა მეურნეობისა;

შენიშვნა: ფასდაკლება არ ვრცელდება ტექნიკუმებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ს ი ა

იმ რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისა რომლებზედაც 1970 წლის 1 აგვისტოდან ვრცელდება სახელმწიფოსათვის მიყიდული ყურძნის შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით

თელავის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა თელავისა და ყარაჯალის ეთერზეთების ქარხანა — საბჭოთა მეურნეობებისა;

ყვარლის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა საბუეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ყვარლის ეთერზეთების ქარხანა—მეურნეობისა;

წითელწყაროს რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

გურჯაანის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

სიღნაღის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა წნორის მებოსტნეობა-მერძვეობის საბჭოთა მეურნეობისა;

საგარეჯოს რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა პატარძელის ლენინის სახელობის, გომბორის და კონძაანის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე საგარეჯოს მებოსტნეობა-მერძვეობის, იგრის მებოსტნეობა-მერძვეობის და ხაშმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ახმეტის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზემო ხოღაშენის მევენახეობის და აღვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

წყალტუბოს რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფარცხანაყანევის კალინინის, ფარცხანაყანევის უდანოვის, პატრიკეთის ლენინის, მუხიანის ლენინის, ქვედა მესხეთის ენგელსის, დერჩის კოლმეურნეობების და საყულიას კოლმეურნეობისა „კომუნისში“, აგრეთვე გეგუთის მებოსტნეობა-მერძვეობის და ქვიტირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ვანის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა უხუთის, ყუმურის, გორას კოლმეურნეობებისა და რომანეთის კოლმეურნეობა „პარტიზანისა“, აგრეთვე სულორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა;

მაიაკოვსკის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზეგანის კიროვის და ზეგანის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა;

ზესტაფონის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ძირულის კალინინის, მარტოთუბნის გეგეჭკორის, წიფლავაკის კიროვის, დილიკაურას სვერდლოვის სახელობის და ბოსლევის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე როდინოჟლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა;

თერჯოლის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჭოგნარის, ნაგარევის, გოდოგნისა და ნახშირღელის კოლმეურნეობებისა.

შენიშვნა: ყურძენზე ფასდაკლება არ ვრცელდება სანერგე მეურნეობებზე, ტექნიკუმებზე. აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. შებრელიძევილი.

ს ი ა

იმ რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მოსახლეობისა, რომლებზედაც 1970 წლის პირველი აგვისტოდან ვრცელდება თესლოვანი და კურკოვანი ხილის სახელმწიფო შესახყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით:

ახალციხის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მუსხის კოლმეურნეობისა „წითელი ოქტომბერი“, ელიაწმინდის კოლმეურნეობისა „საბჭოთა საქართველო“ და წყორძის კოლმეურნეობისა „წინსვლა“, აგრეთვე წყალთბილის მეკარტოფილეობის და ახალციხის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ხაშურის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფლევის, ტკოცის და ცოცხნარის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძვეეობის და ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ქარელის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დირბის და ზღუდის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე კეხიჯვრის მეხილეობის, ფცის მეჭარხლეობის და ქვენატკოცის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი საბჭოთა მეურნეობისა;

გორის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მეღვრიკისის კოლმეურნეობისა „დიდი ლიახვი“, ბნავისის, ატენის სტალინის და დიცის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობებისა;

კასპის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ახალქალაქის, ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის, ზოვლეს, გომის, ნოსტეს სააკაძის სახელობის, დოესის და მეტეხის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ოკამის მევენახეობის, ქსნის მევენახეობის, კავთისხევის მებოსტნეობა-მერძვეეობის, კოდისწყაროს მეხილეობა-მებოსტნეობის და ქვათახევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ლაგოდეხის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანა — მეურნეობისა;

მარნეულის რაიონის მოსახლეობა;

ცხინვალის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დისევის და ქემერთის კოლმეურნეობისა „გამარჯვება“, ერედვის მერძვეეობა-მებოსტნეობის, თამარაშენის მერძვეეობა-მებოსტნეობის და არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა;

ზნაურის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა წნელისის, მუგუთის, ზნაურის, თიღვისა და თერგვანის კოლმეურნეობებისა და ბეყმარის მეცხოველეობის და ველების მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ლენინგორის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზაყორის 26 კომისრის, ლარგვისის ორჯონიკიძის, წოლდის ხეთაგუროვის, წუბენის კი-



როვის, აბრევის სტალინის სახელობის, ცხილონის, კიტრიულის, წირის, წინა-გრის და დორეთკარის კოლმეურნეობების, აგრეთვე ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

სამტრედიის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ნაბაკევის კოლმეურნეობისა „გამარჯვება“, ნინუაქუთხის ორჯონიკიძის, მელაურის ლესელიძის, ნათაღაურის კეცხოველის, წიაღუბნის ცხაკაიას, გამოჩინებულის წერეთლის, გომის ცხაკაიას სახელობის და ზედაეწერის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე რაიონში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა;

ჭიათურის რაიონის მოსახლეობა;

საჩხერის რაიონის მოსახლეობა და ჭალის, იტავაზის, გამოღმა არგვეთის, ორღულის ქდანოვის, ჩიხას 1 მაისის, საირხის მახარაძის, სხვიტორის წერეთლის, არგვეთის ლენინის და სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები;

ტყიბულის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

ამბროლაურის რაიონის მოსახლეობა და მეორე ტოლას კოლმეურნეობა „კომუნარი“, პირველი ტოლას კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, ჩორჯოს კიროვის, ბოსტანას ენგელსის, შრომის მარქსის, ხეანჭკარას ლენინის სახელობის, ხიდიკრის, ბუგეულის, სადმელის და წესის კოლმეურნეობები;

მახარაძის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

ლანჩხუთის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჭყონაგორას, ქვიანის და ჩოლობარგის კოლმეურნეობებისა;

ოჩამჩირის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მერკულის და ბარათაშვილის კოლმეურნეობებისა და ოჩამჩირის მერძვეობა-მებოსტნეობის, ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანა-მეურნეობის, აგუბედიის ტუნგოს და ჯალის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებისა;

გალის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ოტობაიას კოლმეურნეობისა „მშრომელი გლეხი“ და ფიჩორის კოლმეურნეობისა „წინსვლა“;

გურჯაანის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ვარჩხის კოლმეურნეობისა „საქართველო“, მერხეულის პუშკინის, ამტკელის მახარაძის და რუსთაველის, ოქტომბრის ლენინის, მაჭარას მიასნიკოვის, ლატას კამოს სახელობის, ახალი აყარის და გენცვიშის კოლმეურნეობებისა, და კოლმეურნეობისა „წითელი ოქტომბერი“, აგრეთვე რაიონში არსებული საბჭოთა მეურნეობებისა;

სოხუმის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა კელასურის კოლმეურნეობისა „წინსვლა“, ბირჯას კოლმეურნეობისა „ემბრო“, ლინდავას ორჯონიკიძის, პავლოვკას კიროვის, ოდიშის ლენინის და ახალშენის მე-20 პარტიკრილობის სახელობის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა;

გუდაუთის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ყულანურხვის, აბგარხუკის, კალდახვარის, ანუხვის, ააცის, ბლაბურხვის კოლმეურნეობების და რაიონში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა;

გაგრის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა „ხოლოდნაია რეჩკას“ კოლმეურნეობისა და რაიონში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა;

ქობულეთის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა რაიონში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა;

ბათუმის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზედაჩხუტუნეთის, ქვედაჩხუტუნეთის და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებისა; და რაიონში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა;

შენიშვნა: ხილზე ფასჩამოკლება არ ვრცელდება აგრეთვე სანერგე მეურნეობებზე, ტექნიკუმებზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 29 ივლისის № 425
დადგენილების დანართი № 4

ს ი ა

იმ რაიონებისა, სადაც 1970 წლის პირველი აგვისტოდან ვრცელდება სახელმწიფოსათვის მოსახლეობის მიერ მიყიდული დაფნის შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 500 მანეთის ოდენობით:

წყალტუბო
სამტრედია
წულუკიძე
ვანი
მაიაკოვსკი
ზესტაფონი
თერჯოლა
ჭიათურა
ორჯონიკიძე
ტყიბული
აბაშა
ცხაკაია
გეგეჭკორი
ზუგდიდი
ხობი
წალენჯიხა
ჩხოროწყუ
მახარაძე
ლანჩხუთი
ჩოხატაური
აფხაზეთის ასსრ
აჭარის ასსრ
ქ. ფოთი
ქ. ქუთაისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მამბრაელიძე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 29 ივლისის № 425
დადგენილების დანართი № 5

ს ი ა

იმ კოლმეურნეობებისა, რომლებსაც 1970 წლის 1 აგვისტოდან მიეცემაო და-
ტაცია საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებული და ხანელმწიფოსათვის
მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების
შესაბამისად, პროცენტობით

რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება	დოტაცია პროცენტობით
<p>1. ახალქალაქის რაიონი</p> <p>აბულის კოლმეურნეობა არაკვას " " კოთელის " " კორხის კოლმეურნეობა "კომუნისტი" ვარეუანის კოლმეურნეობა "კომუნისტის გზა"</p>	<p>25</p>
<p>2. ბოვდნოვკის რაიონი</p> <p>ყურმის ტელმანის სახ. კოლმეურნეობა ფოკის კამოს სახ. კოლმეურნეობა სათხას კოლმეურნეობა</p>	<p>28</p>
<p>3. ახალციხის რაიონი</p> <p>ელაწმინდის კოლმეურნეობა "საბჭოთა საქართველო" მუსხის კოლმეურნეობა "წითელი ოქტომბერი" წყობის კოლმეურნეობა "წინსვლა"</p>	<p>45</p>
<p>4. ადიგენის რაიონი</p> <p>ყველა კოლმეურნეობა</p>	<p>50</p>
<p>5. ასპინძის რაიონი</p> <p>ყველა კოლმეურნეობა</p>	<p>60</p>
<p>6. ბაშურის რაიონი</p> <p>ფლევის კოლმეურნეობა ტკოცის ცოცხარის "</p>	<p>40</p>
<p>7. ქარელის რაიონი</p> <p>ღირბის კოლმეურნეობა ზღუდერის "</p>	<p>40</p>
<p>8. გორის რაიონი</p> <p>ატენის სტალინის სახ. კოლმეურნეობა ლიცის ჟდანოვის მელერიკისის კოლმეურნეობა "დიდი ლიახვი" ბნავისის კოლმეურნეობა</p>	<p>60</p>



რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება	დოტაცია	პროცენტობა
9. კახის რაიონი		
ნოსტეს სააკაძის სახ. კოლმეურნეობა		40
ყარაღაჯის სვერდლოვის სახ. კოლმეურნეობა		
დოესის	"	
ახალქალაქის	"	
ხოვლეს	"	
ვომის	"	
მეტეხის	"	
10. ზორჯომის რაიონი		
ბალანთის სტალინის სახ. კოლმეურნეობა		50
წაღერის 26 კომისრის სახ. კოლმეურნეობა		
ტბის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა		
ყვიბისის	"	
მოლითის	"	
რველის	"	
ახალდაბის	"	
11. საგარეჯოს რაიონი		
პატარაძელის ლენინის სახ. კოლმეურნეობა		40
ვომბორის	"	
კოკბაიანის	"	
12. მარნეულის რაიონი		
ყველა კოლმეურნეობა		30
13. ბოლნისის რაიონი		
დარბაზის ტელმანის სახ. კოლმეურნეობა		30
ზემო გულავერის აზიზბეკოვის კოლმეურნეობა		
ქვემო გულავერის XX პარტყრილობის კოლმეურნეობა		
ქიონეთის	"	
მუშევანის	"	
აბდალოს	"	
კიპირჯიკის	"	
კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“		
14. წაღვის რაიონი		
რეხას ქდანოვის სახ. კოლმეურნეობა		25
ჩიეთქილისის ლენინის სახ. კოლმეურნეობა		
გუნია-კალას სტალინის სახ. კოლმეურნეობა		
ქაბურის შიასნიკოვის სახ. კოლმეურნეობა		
ბურნაშეთის შაუშიანის სახ. კოლმეურნეობა		
ყიზილქილისის სპანდარიანის სახ. კოლმეურნეობა		
ოლიანკის	"	
ოზნის	"	
აიაზმას	"	
ელიქილისის	"	
15. დუშეთის რაიონი		
ფასანაურის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა		40
ანანურის სააკაძის	"	
მთიულეთის	"	

რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება

დოტაცია პროცენტობით

შუახევის სახ. კოლმეურნეობა	
მჭადიჯვრის	
ქართლის	
16. თეთრიწყაროს რაიონი	
სამშვილდეს კოლმეურნეობა „წითელი დროშა“	50
დაღეთაინის	
წინწყაროს	
კლდისის	
17. ღმანისის რაიონი	
ჰველა კოლმეურნეობა	40
18. თიანეთის რაიონი	
ჰველა კოლმეურნეობა	60
19. ცხინვალის რაიონი	
დისევის გურამიშვილის სახ. კოლმეურნეობა	40
ქემერთის	
20. ჭავის რაიონი	
ჰველა კოლმეურნეობა	60
21. ზნაურის რაიონი	
ზნაურის ლენინის სახ. კოლმეურნეობა	50
წნელისის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“	
მუგუთის	
თიღვის	
თერეგვანის	
22. ღვინჯორის რაიონი	
ზაზორის 26 კომისრის სახ. კოლმეურნეობა	40
ლარგვისის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა	
წოდის ხეთაგუროვის	
წუბენის კიროვის	
აბრევის სტალინის	
წირის	
წინაგარის	
ცხილონის	
კიტრიულის	
დორეთყარის	
23. წყალტუბოს რაიონი	
ფარხანაყანევის კალონინის სახ. კოლ-ბა	25
ნატრიკეთის ლენინის	
ფარცხანაყანევის უდანოვის	
მუხიანის ლენინის	
ქველა მესხეთის ენგელის	
საყულის კოლმეურნეობა „კომუნისტი“	
ღერნის	



რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება	დოტაცია	პროცენტობა
24. სამტრედიის რაიონი		25
ნინუაქუთხის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა		
მელაურის ლესელიძის	„	„
ნაბაკევის გამარჯების	„	„
ნაფალაურის კეცხოველის	„	„
წიაღუბნის ცხაკაიას	„	„
ვაშლინებულის წერეთლის	„	„
კომის ცხაკაიას	„	„
ზედა ეწერის	„	„
25. წულუკიძის რაიონი		20
ძეძილეთის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა		
გორდის გეგუქორის	„	„
კინჩხის ლენინის	„	„
კონტუათის ცხაკაიას	„	„
პატარა ჭიხაიძის	„	„
26. ვანის რაიონი		30
გორას კოლმეურნეობა		
უხუთის	„	„
ყუძურის	„	„
რომახეთის კოლმეურნეობა „პარტიზანი“	„	„
27. მაიაკოვსკის რაიონი		60
ზეგანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა		
ზეგანის ჟდანოვის	„	„
28. ზესტაფონის რაიონი		40
ძირულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა		
მარტოთუნის გეგუქორის	„	„
წიფლაკის კიროვის	„	„
დილიკაურის სვერდლოვის	„	„
ბოსლევის	„	„
29. თერჯოლის რაიონი		40
ნავარევის კოლმეურნეობა		
ჭოგნარის	„	„
გოდოგნის	„	„
ნახშირღელის	„	„
30. ჰიათურის რაიონი		50
ყველა კოლმეურნეობა		
31. საჩხერის რაიონი		50
მახათაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა		
ჭალოვანის კიროვის	„	„
ცხამის კალინინის	„	„
ქორეთის ლენინის	„	„
კორბოლის რუსთაველის	„	„
კორბოლის ორჯონიკიძის	„	„

რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება

დოტაცია პროცენტობით

კორბოულის სახ. კოლმეურნეობა
 ბაჭითის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“
 მოძვის „
 ჯალაურთის „
 ვორისის „
 მომახეთის „
 ლინის „
 ნივეზარის „
 სარეკის „
 ჭორვილის „
 სპეთის „

მშ. ორჯონიკიძის რაიონი

68

ვარცხნალის ბუაჩიძის სახ. კოლმეურნეობა
 წყალაფორეთის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა
 ხიდარის კუბიშევის „
 I ლორეშის „
 II ლორეშის „
 ნადაურის „
 ქროლის „
 ლარისხევის „
 ხონის „
 ვარძის „
 ჩხერის „
 ვახანის „
 ნევის „
 მარელისის „
 ახალსოფლის „
 ლახუნდარას „
 ხორითის „
 ქვების „
 სალანძღის „
 სარგვეშის „
 ნებოძირის „
 ლელვანის „
 სერბაისის „
 დეისის „
 ღვირკის „
 ვანის „
 ვერტყვიჭალის „
 მაქათუბანის „
 ხუნევის „
 საქასრიის „
 შაბის „
 საბგის „

მშ. ონის რაიონი

60

ყველა კოლმეურნეობა

მჭ. ამბროლაურის რაიონი

60

ქელიაღელის კუბიშევის სახ. კოლმეურნეობა
 თლუღის ჩაპაევის „
 ცახის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა
 საეციის კოლმეურნეობა „პროგრესი“
 იბანოეთის მახარაძის სახ. კოლმეურნეობა

ხონჭიორის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“	
თხმორის კოლმეურნეობა „წინსვლა“	
ხოტევის კოლმეურნეობა „გლეხის იმედი“	
ზნაკვის ქდანოვის სახ. კოლმეურნეობა	
წყადისის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“	
კაჩაეთის კოლმეურნეობა	
ღვარდიის	■
კრიხის	■
ველევის	■
პატარა ონის	■
ლიხეთის	■
ჭყვიშის	■
შავრა-ნამანვეის	■
ღადიშის	■
გორისუბნის	■
სხვევის	■
ნიკორწმინდის	■
ძირაგველის	■
ამბროლაურის	■
კრებალოს	■

35. ცაგერის რაიონი

60

ღვრიშის კოლმეურნეობა	
ლაილაშის კოლმეურნეობა	
წილაშიერის კოლმეურნეობა „დამკვერელი“	
თამორის კოლმეურნეობა „ლენინის გზით“	
ოყურეშის კოლმეურნეობა „წინსვლა“	
ისუნდერის კოლმეურნეობა „სტახანოველი“	
უცხერის კოლმეურნეობა „1 მაისი“	
წითერჩის სვერდლოვის სახ. კოლმეურნეობა	
აღვის ქდანოვის სახ. კოლმეურნეობა	
უსახელოს კოლმეურნეობა	
ზუბის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა	
აღპანის	■
საირშის	■
ღებვირის	■
ღუბჯანოს	■
სურმუშის	■
ლატორიის	■
ზოგიშის	■
ნაკურალეშის	■
ორხეის	■
ნასპერის	■
ტვიშის კოლმეურნეობა „გამარჯება“	

36. ლენტეხის რაიონი

70

ჩიხარეშის კოლმეურნეობა	
მელეს	■
ქახუნდერის	■
სასაშის	■
ლეუშერის	■
თეკალის	■
საყდრის	■
ლენტეხის	■
ხოფურის	■
რცხეღურის	■

რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება

დოტაცია პროცენტობი

ლესემის კოლმეურნეობა ხაჩეშის	*	
37. აბაშის რაიონი		25
მარნის კოლმეურნეობა „შრომა“		
ნაესკაოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობა		
სამიქაოს	*	
პირველი მაისის	*	
მარნის	*	
ჭოლობნის	*	
გეზათის	*	
38. ცხაკაიას რაიონი		20
თეკლათის კალინინის სახ. კოლმეურნეობა		
თეკლათის ჭავჭავაძის	"	
ნაქალაქევის ლენინის	"	
39. ზუგდიდის რაიონი		20
განმუხტურის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა		
ორულეს	"	
დიდინემის	"	
40. ხობის რაიონი		20
ხეთის კოლმეურნეობა „კოლხიდა“		
1 მაისის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობა		
ხამსქურის უღანოვის	"	
პირველი ხორგის	"	
41. ლანჩხუთის რაიონი		20
ჭყონაგორის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა		
ჩოლობარგის	"	
ჭვიანის	"	
42. ჩოხატაურის რაიონი		25
ბურნათის ძნელაძის სახ. კოლმეურნეობა		
შუა სურგების ენგელსის სახ. კოლმეურნეობა		
ზემო სურგების XIX პარტყრილობის კოლმეურნეობა		
ზემო ხეთის	"	
ზოტის	"	
დიდივანის	"	
43. მესტიის რაიონი		70
ყველა კოლმეურნეობა		
44. გალის რაიონი		20
ოტობაიას კოლმეურნეობა „შრომელი გლეხი“		
ფიხორის კოლმეურნეობა „წინსვლა“		
45. ოჩამჩირის რაიონი		20
ბარათაშვილის კოლმეურნეობა		
მერკულის	*	



რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება

დორტაიო პროცენტობი

46. გულრიფშის რაიონი

20

ლატას კამოს სახელობის კოლმეურნეობა
 მერხელის პუშკინის სახ. კოლმეურნეობა
 ამტკელის მახარაძის " " "
 ოქტომბრის ლენინის " " "
 მაჭარის ვიასნიკოვის " " "
 ამტკელის რუსთაველის " " "
 ვარჩხე კოლმეურნეობა „საქართველო“
 წითელი ოქტომბრის კოლმეურნეობა
 ახალი აჟარის " "
 გენცვიშის " "

47. ხობუშის რაიონი

20

კელასურის კოლმეურნეობა „წინსვლა“
 ლინდავის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა
 პავლოვის კიკვიძის სახ. კოლმეურნეობა
 ოდიშის ლენინის სახ. კოლმეურნეობა
 ახალშენის XX პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობა
 ბირჯის კოლმეურნეობა „ემბროს“

48. გულაუთის რაიონი

20

ყულანურხვის „4 მარტის“ სახ. კოლმეურნეობა
 ანუხვის ჭაუჭავაძის " " "
 ბლაბურხვის ლაკობას " " "
 აბლარხუქის კოლმეურნეობა „აფსნი“
 კალდახარის " "
 ააცის " "

49. ვაგრის რაიონი

20

ბოლოდნაია რეჩკას კიროვის სახ. კოლმეურნეობა

50. მათლუმის რაიონი

20

ზედა ჩხუტუნეთის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა
 ქვედა ჩხუტუნეთის დიმიტროვის " "
 ჩიქუნეთის " "

51. ქედის რაიონი

20

სიხალიძეების რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა
 აგარის ჟღანოვის " " "
 ცხემნის ტელმანის " " "
 შეჰიზნის ვიშინსკის " " "
 გუნდაურის კალინინის " " "
 ქედის " " "
 აქუციის " " "
 აბუქეთის " " "
 ჯალაბაშვილების " " "
 კოლოტურის " " "
 ინაშარიძეების " " "

რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება	დოტაცია პროცენტობით
დანდალოს კოლმეურნეობა პირველი მაისის ზვარცხ	
ნ2. შუაზევის რაიონი	20
130ლა კოლმეურნეობა	
ნ3. ხულოს რაიონი	20
330ლა კოლმეურნეობა	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი მ. მამგელიშვილი



ხ ი ა

იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებსაც 1970 წლის 1 აგვისტოდან მიეცემათ დოტაცია სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების შესაბამისად, პროცენტობით

რაიონების და საბჭოთა მეურნეობების დასახელება	დოტაცია პროცენტობით
ჭავჭავაძის რაიონი	
ჭავჭავაძის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა	55
წონის მებორცეობა-მერძეეობის "	55
ლენინგორის რაიონი	
ლენინგორის მეცხოველეობის მეურნეობა	30
წაყვარის რაიონი	
ბეყვარის მეცხოველეობის მეურნეობა	40
ველების მებოძეობის "	45
ხობის რაიონი	
ქვალონის მელორეობის მეურნეობა	25
ახალსოფლის "	25
ჭალადიდის "	25
პატარა ფოთის "	30
ჩოხატაურის რაიონი	
ჩოხატაურის მევენახეობის მეურნეობა	35
ბათუმის რაიონი	
ბათუმის მერძეეობის მეურნეობა	40
ჭებტაფონის რაიონი	
როდინაულის მევენახეობის მეურნეობა	45
აბაშის რაიონი	
ზანათის მელორეობის საბჭ. მეურნეობა	20
სუჯუნის მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის მეურნეობა	40
თეთრიწყაროს რაიონი	
ღმანისის მეცხოველეობის მეურნეობა	55
კასპის რაიონი	
ქსნის მევენახეობის მეურნეობა	45
კავთისხევის მებოსტნეობა-მერძეეობის მეურნეობა	40
ქვათახევის მებოსტნეობის მეურნეობა	40

რაიონების და საბჭოთა შეურნეობების დასახელება	დოტაცია	პროცენტობა.
ზუგდიდის რაიონი		
ანაკლიის მეკამეჩეობის შეურნეობა		35
თიანეთის რაიონი		
თიანეთის მერძეეობა-მეხორცეობის შეურნეობა		70
ერწოს მეხორცეობა-მერძეეობის შეურნეობა		45
ოჩამჩირის რაიონი		
ოჩამჩირის მერძეეობა-მეხორცეობის შეურნეობა		20

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი მ. მებრეღიუვილი.

წ ე ს ი

მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დოტაციის მიცემისა

1. ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გასაცემი დოტაცია გამოიანგარიშება მათ მიერ წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული მთელი პროდუქციის ღირებულების შესაბამისად, დაწესებული პროცენტების მიხედვით შემდეგ პროდუქტებზე:

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

1. ჩაის მწვანე ფოთოლი
2. ყურძენი
3. თამბაქო
4. ტუნგოს ნაყოფი
5. ეთერზეთოვანი კულტურები და სხვა პროდუქტები

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი
2. ღორის ხორცი
3. ცხვრისა და თხის ხორცი
4. ფრინველის ხორცი
5. ბოცვრის ხორცი
6. რძე და რძის ნაწარმი და სხვა პროდუქტები

დამზადების სამინისტროს ხაზით:

1. მარცვლეული, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურები
2. თივა
3. ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახის თესვები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით:

1. აბრეშუმის პარკი
2. თაფლი და სანთელი
3. ხილი, ციტრუსი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები (რომელსაც უშუალოდ აწვდიან მომხმარებლებს საბჭოთა მეურნეობები).

სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ ხაზით:

1. ბოსტნეული
2. ბალჩეული
3. კარტოფილი
4. თესლოვანი ხილი
5. კურკოვანი ხილი
6. ციტრუსები
7. კაკალი და თხილი
8. ხმელი ხილი
9. შაქრის ჭარხალი
10. გარეული ხილი და სხვა პროდუქტები

ცეკავშირის ხაზით:

1. მატყლი
2. კვერცხი
3. ტყავნედლეული
4. გარეული ხილი და სხვა პროდუქტები

2. კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, დამზადების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, „საქკონსერვხილბოსტანისა“ და ცეკავშირისადმი დაქვემდებარებული რაიონული დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები ვალდებული არიან ყოველი თვის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო თვის ხუთი რიცხვისა, შეადგინონ უწყისი № 1 (თან ერთვის) ორ ცალად ამ დადგენილების № 5 დანართში დასახელებული კოლმეურნეობების მიერ გასულ თვეში სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის რაოდენობის და ღირებულების ჩვენებით (იხ. თანდართული ფორმა), დაამოწმებინონ სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორს და ერთი ცალი წარუდგინონ რაიადმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს. აღნიშნული დამამზადებელი ორგანიზაციები ასეთივე წესით ადგენენ აღნიშნულ უწყისს ორ ცალად № 6 დანართში დასახელებული საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რაოდენობისა და ღირებულების ჩვენებით და წარუდგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

3. რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო, ამოწმებს დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ უწყისებში ნაჩვენებ ცალკე კოლმეურნეობების მიხედვით დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობისა და ღირებულების სისწორეს, ადგენს კრებსით განკარგულება-უწყისს ორ ცალად დამტკიცებული ფორმა № 2 (თან ერთვის) მიხედვით არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, განსაზღვრავს თითოეული კოლმეურნეობისათვის გასაცემი დოტაციის თანხას და ამ უწყისის ერთ ცალს წარუდგენს სახელმწიფო ბანკის განყოფილებას.

4. სახელმწიფო ბანკის განყოფილება აღნიშნული უწყისის თანახმად შეუ-
 ვერხებლივ ჩაურიცხავს შესაბამის კოლმეურნეობებს დოტაციის თანხას.
5. ეკონომიურად სუსტ საბჭოთა მეურნეობებისათვის ჩასარიცხ დოტა-
 ციის თანხის გამოანგარიშებას და ჩარიცხვას აფორმებს სოფლის მეურნეობის
 სამინისტრო სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის მეშვეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი მ. მებრელიძევილი.

განაკრვლება-აწვისი

ბანკის რაიონულ განყოფილებას ————— რაიონის ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებზე 1970 წლის
 თვეში ————— გასაცემ დოტაციის თანხების ჩარიცხვის შესახებ

კოლმეურნე- ობების დასახელება	ჩაბარებული პროდუქციის ღირებულება		მათ შორის							დოტაციის ღირებულება თან- ხით	
	სულ	ჩაბარებული პროდუქციის ღირებულება	აგვის მრეწველობის მნიშვნელო ზოცისა და რის წველობის სამნიშვნელო დამზადების სამნიშვნელო სოფლის მეურნეობის მნიშვნელო	სა- საქონლის მნიშვნელო	სა- საქონლის მნიშვნელო	სა- საქონლის მნიშვნელო	სა- საქონლის მნიშვნელო	სა- საქონლის მნიშვნელო			

სოფლის მეურნეობის სამმართველოს
 უფროსი
 შთ. ბუხმალტერი ან ეკონომისტი

82 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტები:

119. რუსთავის სამსხმელო ქარხნის „ცენტროლიტის“ საცხოვრებელი სახლები;

120. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მამარაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი, № 434.

83 საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მამარაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 11 აგვისტო, № 446



დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს
1970 წლის 11 აგვისტოს № 446
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა მრეწველობაში, საქალაქო და სასოფლო მშენებლობაში სამუშაოთა საიჯარო წესის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, რასაც ახორციელებენ საქვეუწყებო ორგანიზაციები, საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებათა დროულად შესრულებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისათვის, მშენებლობის ხარისხისათვის, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობისა და განვითარებისათვის და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა ზრდისათვის, დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებების, სამშენებლო-სამონტაჟო საიჯარო სამუშაოთა გეგმების შესრულება, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

— სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალიზაცია, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესება, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების დანერგვა მშენებლობაში;

— სამშენებლო ორგანიზაციების საჭირო საწარმოო ბაზის განვითარება, იმ კაპიტალურ დახანძრებათა ეფექტიანობის ამაღლება, რომლებიც ამ მიზნებისათვის გამოიყოფა; სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება;

— შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება;

— მშენებლობის ხარისხის მუდმივი ამაღლება, აგრეთვე მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირება;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა მუდმივი კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და



გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის პირობების შექმნის
კადრების შერჩევის ლენინური პრინციპების დაცვა, მათ შორის იმ ახალგაზრდა
სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად
გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

— სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებუ-
ლებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და
კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი შრომის უსა-
შინრო პირობების უზრუნველყოფა, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილე-
ბის ახალი საშუალებების დანერგვა.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს
საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან
მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მისი საქვეუწყებო ტრეს-
ტები, სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული
კოლონები და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები და სხვა საქვეუწყებო
საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ სამინისტროს
ერთიან სისტემას, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის მშენებლობის სამი-
ნისტროს სისტემის შემადგენელ ნაწილს.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავის საქმიანობაში
ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავში-
რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს
სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის მშენებ-
ლობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა
ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი
კანონმდებლობის სწორად შეფარდებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში,
ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს
სისტემაში კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადე-
ბებს მისი სრულყოფის შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს მათ განსა-
ხილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამო-
ცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს საიჯარო სამშენებლო-
სამონტაჟო სამუშაოთა, საკუთარი კაპიტალური მშენებლობისა და სამრეწველო
პროდუქციის წარმოების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და განვითარების მა-
ტერიალურ-ტექნიკური მომარაგების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების,
შრომის გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსს;

— უზრუნველყოფს, რომ სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა დრო-
ზე შეასრულონ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, პირველ რიგში საექს-
პლოატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მშენებ-
ლობებსა და ობიექტებზე, რომლებიც შენდება უცხოეთის ლიცენზიების გამო-
ყენებით და კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე;



— დადგენილი წესით მოაწყობს მუშაობას, რომ სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა შეათანხმონ შემკვეთებთან მშენებლობისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სატიტულო სიები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე უზრუნველყოფს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

— იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ მომზადდნენ ტრესტები, სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები და საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებზე გადასასვლელად და ახალ პირობებში წარმატებით მუშაობისათვის, მოაწყობს სამინისტროს სისტემაში ეკონომიურ მუშაობას, განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში, საწარმოებში და ძირეულ სამეურნეო ანგარიშს უზნებსა და ბრიგადებში;

— დადგენილი წესით დააფინანსებს სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას; განიხილავს და დაამტკიცებს სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშებსა და ბალანსებს. შეადგენს სამინისტროს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის პერიოდულ და წლიურ კრებისათვის საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე განახორციელებს სამინისტროს ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საფინანსო კონტროლსა და რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივება, შემცირება და გაუმჯობესება, მანქანური აღრიცხვის დანერგვა;

— მოაწყობს სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების თავმოყრას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე, კონტროლს გაუწევს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესრულებას და მატერიალური რესურსების სწორად ხარჯვას;

— შექმნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სუბმოიჯარე ორგანიზაციებისათვის საჭირო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მიერ სამონტაჟო და სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოთა სათანადოდ შესრულებას;

ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებების დადებას კაპიტალური მშენებლობის შესახებ, აგრეთვე მიწოდებათა ხელშეკრულებების დადებას, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებათა როლის ამაღლებას და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

— მოაწყობს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შემუშავებასა და დანერგვას ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას, მშენებელთა მუ-

შაობის ხარისხის გაუმჯობესებას და მშენებლებისათვის მიცემული რესურსების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებას;

შეიმუშავეს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განვითარება, მშენებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამშენებლო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის რაციონალურად გამოყენება და მათი რემონტის მოწესრიგება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, სამრეწველო საწარმოების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, მასალების, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერჯის მომჭირნეობა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, ძირითად საბრუნავ საშუალებათა უფრო ეფექტიანად გამოყენება, ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ დაგროვების გეგმების და ბიუჯეტის წინაშე იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც შეეხება მოგებათა ანარიცხების შეტანას, აგრეთვე საკუთარი სახსრების შეტანას ბანკებში კაპიტალურ დაბანდებათა და საფინანსებლად, და კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

— გაანაწილებს და გადაანაწილებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებს შორის კაპიტალურ დაბანდებას საკუთარი მშენებლობისათვის, საკუთარ საბრუნავ სახსრებს, დაკრედიტების ლიმიტებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროსათვის ბანკების საკრედიტო გეგმებით;

— შეიტანს, საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით ცვლილებებს სამინისტროს ორგანიზაციების სამეურნეო, ფინანსურ გეგმებში ისე, რომ არ შეიცვალოს დამტკიცებული მაჩვენებლები, არ შემცირდეს საბიუჯეტო გადასახდელები და არ გადიდდეს დაფინანსება ბიუჯეტიდან მთლიანად სამინისტროს ხაზით;

— დადგენილი წესით განახორციელებს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შერჩევას და განაწილებას, მოაწყობს სპეციალისტთა და მშენებელ მუშაკთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და კონტროლს გაუწევს ამ საქმეს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

— მოაწყობს მშენებლობაში მოწინავე გამოცდილების ფართო გაზიარებას, განახორციელებს მშენებლობის სამამულო და უცხოეთის გამოცდილების დანერგვის ღონისძიებებს;

— პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავეს წინადადებებს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის სისტემის გაუმჯობესების შესახებ და დადგენილი წესით შეიტანს ამ წინადადებებს განსახილველად. კონტროლს გაუწევს შრომის კანონმდებლობის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდის მომჭირნეობით ხარჯვას;

— პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას, აგრეთვე გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობას, გამოგონებებისა



და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას სამშენებლო ბაზაში;

— შეიმუშავეს და განახორციელეს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პირობების, მშენებელთა საზოგადოებრივი კვების, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას; ფიზიკური კულტურისა და სპორტის და მათთვის სხვა კულტურული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განვითარებას;

— დადგენილი წესით წარადგენს მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საბატიო წოდებების მისანიჭებლად, მთავრობისა და უწყებრივი ჯილდოების მისაღებად, დააჯილდოებს სამინისტროსა და საქართველოს სსრ მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საბატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

— განახორციელებს კონტროლს სამინისტროს მშენებლობებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის, და ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების შესრულების მდგომარეობისადმი.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მოაწყობს მოქალაქეთა წერილების (საჩივრებისა და განცხადებების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ეცდება სწორად გადაწყვიტოს ამ წერილებში აღძრული საკითხები, აგრეთვე მიიღებს ზომებს, რათა აღმოიფხვრას მოქალაქეთა წერილებში აღნიშნული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებულ ამოცანათა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებების უფროსების და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობისათვის, აგრეთვე სამინისტროს ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

10. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების

საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი:

— ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას, დანიშნავს თანამდებობებზე და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

— დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად რესპუბლიკაში მშენებლობის საკითხებზე საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების პროექტებს;

— შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებს, დაამტკიცებს მათ წესდებებს (დებულებებს);

— დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ;

— შეიტანს ცვლილებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და დაამტკიცებს მის საშტატო განრიგს ცენტრალური აპარატისათვის დაწესებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოს სქემის საშუალო განაკვეთების მიხედვით, ამასთან დაიცავს თანამდებობრივი სარგოს სქემებს;

— დანიშნავს პერსონალურ განაკვეთებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ლიმიტისა და პერსონალური განაკვეთების ოდენობის ფარგლებში;

— გააუქმებს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, რომელთა გამოცემის დროს დარღვეულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები;

— დადგენილი წესით მოიწვევს სამინისტროს აქტივის თათბირებს, რომლებზედაც განიხილავენ და შეიმუშავებენ ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება უკეთ შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. გაუმჯობესდეს სამინისტროს და მისი საქვეუწყებო ქვედანაყოფების საქმიანობა;

— დაავალებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტას სამინისტროს განყოფილებებს, სამმართველოებს და სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

11. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეების (თანამდებობის მი-

ხედვით), აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, იმსჯელებს სამშენებლო წარმოების განვითარების, სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის საკითხებსა და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებზე, განიხილავს ტრესტების, სამართველოების, მოძრავი მექანიზებული კოლონების, საწარმოებისა და დაწესებულებების პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე, სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ საკითხებზე, სამამულო და უცხოეთის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიღწევების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების რეკომენდაციების შემუშავების საკითხებზე წინადადებათა განსახილველად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, ხოლო საბჭოს დებულებას დაამტკიცებს მინისტრი.

15. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავისი სისტემის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო დავის განსახილველად შექმნის არბიტრაჟს. სამინისტროს არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს მინისტრი.

16. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

84 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 492 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 492 დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილებაში შემდეგი სიტყვების დამატება: „აგრეთვე ნაწილდება კოლმეურნეობის წევრთა შორის მათი წლიური გამომუშავების პროპორციულად“.

2. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისცეს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ამ დადგენილების შესაბამისი მითითება, აგრეთვე ურჩიოს კოლმეურნეობებს მტკიცედ დაიცვან შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრეღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 13 აგვისტო, № 449

85 მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის სოფლის ჯგუფური წყალსადენების გადაცემისა და ამ წყალსა- დენების ექსპლოატაციის სამსახურის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის და მშრომელთა დებუტატების მთელი რაგი რაიონული საბჭოების აღმასკომების წინადადება და „სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 დეკემბრის № 676 დადგენილების მე-8 პუნქტის შესასრულებლად, გადაეცეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საექსპლოატაციოდ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფური წყალსადენები.

ჯგუფური წყალსადენების გადაცემა და მიღება საექსპლოატაციოდ განხორციელდეს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცი-

ების საერთო კრებების (რწმუნებულების) გადაწყვეტილების შემდეგ და რაიონული საბჭოების აღმასკომების ნებართვით 1970-1972 წლებში, დანართის თანახმად.

2. სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ნება დაერთოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შექმნას სამეურნეო ანგარიშზე სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის მთავარი სამმართველო და შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის მთავარი სამმართველოს და შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოების სტრუქტურა და შტატები სამუშაოს მოცულობისა და ხასიათის მიხედვით.

დაწესდეს 1970 წელს სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის მთავარი სამმართველოს შტატები 10 კაცამდე შემადგენლობით, ზოლო გორისა და წნორის სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის ტერიტორიული სამმართველოებისა, რომლებიც მიმდინარე წელს შეიქმნება, თითოეული 6 კაცის რაოდენობით.

წყალსადენების მიღების კვალობაზე გადიდდეს შესაბამისად სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის მთავარი სამმართველოს და სათანადო ტერიტორიული სამმართველოების შტატები.

ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის სამმართველოს აპარატის შესანახი ხარჯები გაწეულ იქნეს 1970 წელს იმ შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებიც ზღვრული ასიგნებებით გათვალისწინებულია მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივნისის № 357 დადგენილების თანახმად.

3. ჯგუფური წყალსადენების მიღების შემდეგ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი ცალკეული ჯგუფური წყალსადენების მიხედვით ერთი კუბური მეტრი სასმელი წყლის გასაცემი ღირებულების დაწესების შესახებ.

4. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაუდიდოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1970 წლის ხელფასის ფონდი ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის სამსახურისათვის 30 ათასი მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მიგრალიუვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 14 აგვისტო, № 454.

ს ი ა

სოფლის ჩვეუური წყალსადენებისა, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადა-
ცემა მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს
1970-1972 წლებში

რაიონებისა და სოფლის ჩვეუური წყალსადენების დასახელება	წყალსადენის სიგრძე კმ	წყალსადენის სერთო სიხარუთაღრიცხვო ღირებულება ითის მიხედვით	მშენებლობის დაწყებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის თარიღი	ვინ შეადგინა საპროექტო დოკუმენტაცია	ვინ უწყვეს ექსპლოატაციას
1970 წელი					
1. გორის რაიონი — საკოლმეურნეობათაშორისო კოპერირებული წყალსადენი	262	2.200,0	1956—1965	საქწყალპროექტი	გორის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის საბჭო
2. კასპის რაიონი — სოფ. ყარაღაფისა და ზემოხანდაყის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენი	18	85,3	1955—1960	•	კოლმეურნეობის გამგეობა
3. სიღნაღის რაიონი — სოფ. ბოდბეს საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენი	25	150,0	1948—1952	•	საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის საბჭო
4. სიღნაღის რაიონი — ტბიანი-მარჯანის საკოლმეურნეო წყალსადენი	15	60,0	1959—1960	•	კოლმეურნეობის გამგეობა
5. სიღნაღის რაიონი — ნუკრიანის საკოლმეურნეო წყალსადენი	20	140,0	1968—1970	•	კოლმეურნეობის გამგეობა
1971 წელი					
6. მახარაძის რაიონი — ურეკის მეციტარუნეობის საბჭოთა მეურნეობის წყალსადენი	15,7	158,0	1953—1960	საქწყალპროექტი	საბჭოთა მეურნეობა

რაიონებისა და სოფლის ჩვეულებრივი წყალსადენების დასახელება	წყალსადენის საერთო სიგრძე კმ	წყალსადენის საერთო სიხარვეზო ლიტრებულუბათის მანეთობა	შენიშვნების დაწვებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის თარიღი	ვინ შეადგინა საპროექტო დოკუმენტაცია	ვინ ეწევის ექსპლოატაციის
7. ჭობულეთის რაიონი — ოჩხამურის ჩაის საიტოთა მეურნეობის წყალსადენი	46,3	463,0	1958—1961	საქწყალპროექტი	სახპოთი მეურნეობა
8. დმანისის რაიონი — სოფ. დიდი გომარეთისა და შამულოს საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	7	60,0	1965—1968	ხრამქესმშენის საპროექტო ორგანიზაცია	კოლმეურნეობის გამგეობა
9. ახალქალაქის რაიონი — სოფ. ჩუნჩხის საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	32	130,0	1951—1954	საქწყალპროექტი	საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენის საბჭო
10. ახალქალაქის რაიონი — სოფ. იბტილისა და ხანდოს საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	83	250,0	1958—1965	.	.
11. ახალქალაქის რაიონი — ბერნამეთის საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	15	30	1958—1960	.	.
12. ახალქალაქის რაიონი — სოფ. იბტილის და კოტელას საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	6	24	1948—1946	.	.
1972 წელი					
13. ბოგდანოვცის რაიონი — სოფ. ბოგდანოვცის და კატნატის საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	50	200	1950—1958	საქწყალპროექტი	საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენის საბჭო
14. ადიგენის რაიონი — ცხრაწყაროს საკოლმეურნეობათათაშორისო წყალსადენი	20	100	1945—1950	.	.

რაიონებსა და სოფლის წევური წყალსადენების დასახელება	წყალსადენის საერთო სიგრძე კმ	წყალსადენის საერთო სისარჯთაღირებულო ლიტრებზე ათის მინუთობ.	შენიშვნების დაწვებისა და საექსპლუატაციო გადაცემის თარიღი	ვინ შეადგინა საპროექტო დოკუმენტაცია	ვინ უწევს ექსპლოატაციას
15. ასპინძის რაიონი — სოფ. ასპინძისა და ოშორის საკომუნალური მომსახურების წყალსადენი	12	150	1957—1960	საქწყალპროექტი	კომუნალური წარმოების კომბინატი
16. ყვარლის რაიონი — სოფელ ახალსოფლის წყალსადენი	10	100	1965—1968	•	კომუნალური წარმოების გამგეობა
17. შიდაკვეთის რაიონი — სოფელ პირველი ობისის წყალსადენი	4.5	30	1968—1970	•	—
18. საგარეჯოს რაიონი — სოფ. ბაღაიურის წყალსადენი	—	—	—	—	—
19. მცხეთის რაიონი — სოფ. ქსოვრისისა და ვარდისუბნის საკომუნალური მომსახურების კომპლექსური წყალსადენი	49	659,5	1967—1969	•	საკომუნალური მომსახურების საბჭო
20. თეთრი წყაროს რაიონი — სოფ. ქსოვრეთის საკომუნალური მომსახურების წყალსადენი	40	360,0	1952—1960	•	კომუნალური წარმოების გამგეობა
21. თეთრი წყაროს რაიონი — სოფელ ასურეთის და ვარდისუბნის საკომუნალური მომსახურების წყალსადენი	22	231,0	1966—1970	•	•
22. ზუგდიდის რაიონი — სოფელ მჭეპიანების საკომუნალური მომსახურების წყალსადენი	10	70,0	1945—1960	აჭარის ავტონომიური რაიონის საკომუნალური მომსახურების საბჭო	კომუნალური წარმოების გამგეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. შიპრაღიშვილი.

86 კარტოფილის საცალო ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ერთი კილოგრამი საადრეო კარტოფილის საცალო ფასი: დამზადების დაწყებიდან 15 ივნისამდე — 40 კაპიკი, 16-დან 30 ივნისამდე — 25 კაპიკი, 1 ივლისიდან — 15 კაპიკი, აგრეთვე საგვიანო კარტოფილისა — 15 კაპიკი.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის დამამზადებელი ორგანიზაციები კარტოფილს აძლევენ სავაჭრო, საბიუჯეტო და სხვა ორგანიზაციებს საცალო ფასებში დაწესებული სავაჭრო ფასდაკლების დაქვეითვით ფრანკო-დანიშნულების სადგური ან ფრანკო-ავტომანქანა მყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრეღიშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წლის 21 აგვისტო № 460

87 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 22 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„ადმინისტრაციული გასახლების საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 22 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრეღიშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წლის 31 აგვისტო, № 480.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:
 1970 წლის 31 აგვისტოს № 480
 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 22 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 ივლისის № 458 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 28 თებერვლის ბრძანებულების შეფარდების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 551 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 28 თებერვლის ბრძანებულების შეფარდების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 აგვისტოს № 512 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 28 თებერვლის ბრძანებულების შეფარდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 ივლისის № 458 დადგენილების მოქმედების გავრცელების თაობაზე“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 26 დეკემბრის № 839 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 28 თებერვლის ბრძანებულების შეფარდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 ივლისის № 458 დადგენილების მოქმედების საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქ. გორის № 3 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტზე გავრცელების თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი მ. მებრალიუვილი.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 1970 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 4,25 სააღრიცხვო თაბახი 4.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

6.118/235

✓